სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 21 თებერვალი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ბესარიონ ალავიძის, რომან ბოლქვაძის და დავით ხარძეიშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10

მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ბესარიონ ალავიძის, რომან ბოლქვაძის, დავით ხარძეიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ვახტანგ გიგაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ანდა დარეგისტრირდნენ ადვოკატის სტაჟიორად კანონით დადგენილი წესით 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვახტანგ გიგაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(გ) მარიამ მაკარაშვილის, კონსტანტინე ბახუტაშვილის, დარეჯან ავალიანის, თეონა ღუდუშაურის, სალომე მეშველიანის და დარეჯან ნაკაშიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ მაკარაშვილის, კონსტანტინე ბახუტაშვილის, დარეჯან ავალიანის, თეონა ღუდუშაურის, სალომე მეშველიანის და დარეჯან ნაკაშიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ გიორგი გელაშვილის,ზაზა თორთლაძის, მურთაზ ქავზინაძის, თეა მანიჟაშვილის, ზვიადი ასაბაშვილის, თეონა ვასაძის, ნატო კობახიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი გელაშვილის, ზაზა თორთლაძის, მურთაზ ქავზინაძის, თეა მანიჟაშვილის, ზვიადი ასაბაშვილის, თეონა ვასაძის, ნატო კობახიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად რომან ბოლქვაძის, დავით ხარძეიშვილის, რუსუდან თოიძის, ნინო ჯომარჯიძის, ნათია შელეგიას, ნინო დათუკიშვილის და <u>2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების</u> - როლანდი ლომაშვილის, ემა ყურაშვილის, ნინო რურუას, ნინო გიორბელიძის, გვანცა მაისურაძის, თენგიზ მარჯანიშვილის, გიორგი ჯმუხაძის, ალექსანდრე ქოჩიაშვილის, მარიამ ფუტკარაძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, გადასახდელი აქვთ 2022 წლის საწევრო, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის

შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდებაყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - როლანდი ლომაშვილს, ემა ყურაშვილს, ნინო რურუას, ნინო გიორბელიძეს, გვანცა მაისურაძეს, თენგიზ მარჯანიშვილს, გიორგი ჯმუხაძეს, ალექსანდრე ქოჩიაშვილს, მარიამ ფუტკარაძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების თაობაზე წარმოდგენილი ინდივიდუალური განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) თემურ გიკაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და აქედან გამომდინარე ითხოვდა მის მიმართ არსებული და მომდევნო წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თემურ გიკაშვილს ერიცხებოდა 2021 და 2022 წლების საწევრო დავალიანება. იგი სარგებლობდა 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი 75%-იანი საშეღავათო საწევროთი და მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენდა 50 (ორმოცდაათი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თემურ გიკაშვილის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე; თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განცხადებაში აღნიშნულ გარემოებას და განმცხადებელს სთავაზობს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში მომართოს ასოციაციას საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თემურ გიკაშვილის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს მიეწოდოს ინფორმაცია საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ მომართვის თაობაზე.

(ბ) ლეილა თავამაიშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და აქედან გამომდინარე ითხოვდა მის მიმართ არსებული საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლეილა თავამაიშვილს ერიცხებოდა 2021 და 2022 წლების საწევრო დავალიანება. იგი სარგებლობდა 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროთი და მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენდა 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ლეილა თავამაიშვილის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე; თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განცხადებაში აღნიშნულ გარემოებას და განმცხადებელს სთავაზობს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში მომართოს ასოციაციას საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ლეილა თავამაიშვილის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს მიეწოდოს ინფორმაცია საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ მომართვის თაობაზე.

(გ) ნინო ჩიმაკაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2021 წლის განმავლობაში მას არ განუხორციელებია საადვოკატო საქმიანობა და აქედან გამომდინარე ითხოვდა მის მიმართ არსებული საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნინო ჩიმაკაძეს ერიცხებოდა 2022 წლის საწევრო დავალიანება. იგი არ სარგებლობდა 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროთი.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ნინო ჩიკამაძის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე; თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განცხადებაში აღნიშნულ გარემოებას და განმცხადებელს სთავაზობს შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში მომართოს ასოციაციას საწევრო დავალიანების ვადით გადავადების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფიდლდეს ნინო ჩიმაკაძის მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს მიეწოდოს ინფორმაცია საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ მომართვის თაობაზე.

(დ) თეონა გაბოძის, დიანა მარტიაშვილის, სალომე კალაიჯიშვილის, მაკა სალხინაშვილის, ნიკოლოზ შუბლაძის, ალექსანდრე ლომთათიძის, ქეთევან სოფრომაძის, თამარ ნიკოლეიშვილის, ლია სარიშვილის, ნიკოლოზ ზაქარაიას, ამბროსი ჭეიშვილის, სოფიო გოგლიჩიძის, დარეჯან ზედგინიძის, თამაზ სვანიშვილის, ავთანდილ გოირგაძის, ნუნუ მჭედლიშვილის, კახა კილაძის, ნუნუ ჩოჩელის, ლევან კაკაშვილის განცხადებებს საწევრო გადასახადის სხვადასხვა ვადით გადავადების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული განცხადებები მიზანშეწონილია განხილულ იქნეს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მოსაზრებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდგომ.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და მისი განხილვა

გადაიდო შესაბამისი სხდომისთვის.

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედი კომიტეტების თანა-თავმჯდომარეების და წევრების დანიშვნა.

(ა) თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სისხლის სამართლის კომიტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის საჭიროების შესახებ: მან განმარტა, რომ მ/წლის 25 იანვრის აღმასრულებელ საბჭოზე დამტკიცდა თბილისში მოქმედი სისხლის სამართლის კომიტეტის სტრუქტურა და დებულება, რომლის თანახმად კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრა 25 წევრით და 2 თანათავმჯდომარით, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამუშო ჯგუფის ფორმირება მოიაზრებოდა კომიტეტის შიგნით, რამაც გამოიწვია გაუგებრობა აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირთა წრეში და სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების მიზნით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემით დაინტერესებულ წევრთა განცხადებები არ შემოსულა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა სისხლის სამართლის კომიტეტის დებულებაში ცვლილების შეტანა, რომლის თანახმად კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 15 წევრით და ერთი თანათავმჯდომარით, ხოლო ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს სამუშო ჯგუფის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც დაკომპლექტდება 12 წევრით, ხელახლა გამოცხადდეს განცხადებების მიღება.
ასევე, წევრები გაეცნენ სისხლის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რეკომენდირებულ კომიტეტის წევრობის მსურველთა კანდიდატურებს (წარმოდგენილი იყო 11 კანდიდატურა).

მსჯელობის შემდეგ, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:**

- **შევიდეს ცვლილება მ/წლის 25 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სისხლის სამართლის კომიტეტის დებულებაში და კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვროს 15 წევრით და ერთი თანათავმჯდომარით;**
- **ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს სამუშო ჯგუფის 12 წევრით დაკომპლექტების მიზნით ხელახლა გამოცხადდეს გაანცხადების მიღება.**

(ბ) წევრები გაეცნენ თბილისში მოქმედი კომიტეტების თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატთა სიას. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მ/წლის 25 იანვარს აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა თბილისში მოქმედი 13 კომიტეტის

თავმჯდომარე და 4 კომიტეტის თანა-თავმჯდომარე; შესაბამისად, დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილია 9 კომიტეტის თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატურები.

1. ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, ლაშა ცუცქირიძე;
2. სამოქალაქო სამართლის კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, თეა ღლონტი;
3. ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, მაკა სალხინაშვილი;
4. სისხლის სამათლის კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, გიორგი ბარდაველიძე;
5. ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, ეკა ლომიძე;
6. ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის ორი კანდიდატი, ანა ჯალაღონია და გვანცა ჩიკვილაძე;
7. კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, სოფიო მომცელიძე;
8. საიმიგრაციო სამართლის კომიტეტი - თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი, ლაშა საათაშვილი;
9. საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტი, ამირან გიგუაშვილი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მსჯელობის შემდეგ, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედი კომიტეტების თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.**

(გ) თბილისში მოქმედი 13 კომიტეტის წევრების დანიშვნა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ კომიტეტებში გაწევრიანების მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობდა 2022 წლის 31 იანვრიდან 10 თებერვლამდე და ჯამში ასოციაციაში შემოვიდა 302 განცხადება; კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ რეკომენდაცია გაეწია 227 განმცხადებელს.

წევრებმა დეტალურად იმსჯელეს სხდომაზე წარმოდგენილ, რეკომენდირებულ განმცხადებელთა კანდიდატურების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 10, თავი შეიკავა 1 - თორნიკე ბაქრაძე) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თბილისში მოქმედი კომიტეტების წევრობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების ფორმირების შესახებ მსჯელობა - კომიტეტების სტრუქტურის, დებულების, თავმჯდომარეობის კანდიდატურების დამტკიცება და განაცხადების მიღების გამოცხადება.

(ა) თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციით შემუშავებული რეგიონული კომიტეტების სტრუქტურის ფორმირების შესახებ, რომლის თანახმად, ჯამში წარმოდგენილი იყო 13 კომიტეტი, 5 რეგიონში შემდეგი სახის გადანაწილებით: კახეთში, აჭარაში, იმერეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში წარმოდგენილი იყო 3 თემატური კომიტეტი: ადვოკატის პროფესიული უფლებების, სამოქალაქო სამართლის და სისხლის სამართლის კომიტეტები, ხოლო სამცხე - ჯავახეთში - მხოლოდ ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასახელებული კომიტეტების სტრუქტურა ეფუძნებოდა თითოეულ რეგიონში ადვოკატის პროფესიაში არსებულ გამოწვევებს და ლოკალური პრობლემატიკის თუ საჭიროებების სპეციფიკას.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. დეტალური მსჯელობის შემდეგ, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8 - დავით ასათიანი, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი; წინააღმდეგი 2 - ციცინო ცხვედიანი, ინგა სეხნიაშვილი; თავი შეიკავა 1- როინ მიგრიაული) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების სტრუქტურა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2);**

(ბ) თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ზემოხსენებული კომიტეტების საქმიანობის წესი და დებულებები.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 8 - დავით ასათიანი, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი; წინააღმდეგი 1 - ციცინო ცხვედიანი; თავი შეიკავა 2 - როინ მიგრიაული, ინგა სეხნიაშვილი) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების დებულებები სხდომაზე წარმოდგენილი სახით**

(დანართი 3);

(გ) თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარეობის შემდეგი კანდიდატები:

კახეთი - ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი- ნანა ჯეირანაშვილი;
აჭარა - ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი სიმონ ასათიანი; სამოქალაქო სამართლის კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - ვალერი გიორგაძე; სისხლის სამართლის კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - ზაზა პაპიძე.

იმერეთი - ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - მარინა მანგოშვილი; სამოქალაქო სამართლის კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - ია შვანგირაძე; სისხლის სამართლის კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - გრიგოლ გიორგაძე.

სამეგრელო-ზემო სვანეთი - ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - როლანდ შონია; სამოქალაქო სამართლის კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - ეკა ლატარია; სისხლის სამართლის კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - ბაჩუკი ყურაშვილი.

სამცხე-ჯავახეთი - ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი - თავმჯდომარეობის კანდიდატი - ნუგზარ სამარჯიშვილი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. დეტალური მსჯელობის შემდეგ, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების თავმჯდომარეობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.**

(დ) თავმჯდომარემ მიმართა წევრებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონულ კომიტეტებში გაწევრიანების მსურველთათვის განცხადებების შემოტანის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე **ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტებში გაწევრიანების მიზნით, განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2022 წლის 24 თებერვალი და გაგრძელდეს 7 მარტის ჩათვლით. აღნიშნული საკითხის ორგანიზება დაევალოს ასოციაციის აპარატს.**

საკითხი 7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის მიზნების, შინაარსისა და განსაზღვრული აქტივობების შესახებ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. **ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 4).**

საკითხი 8. ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის გამგეობის წევრებისა და ფონდის თავმჯდომარის არჩევა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილია ა(ა)იპ **ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის** გამგეობის ამჟამინდელ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა, რადგან ფონდის მოქმედი თავმჯდომარე - მამუკა ნოზაძე არჩეულ იქნა ასოციაციის დამოუკიდებელი ორგანოს, ეთიკის კომისიის წევრად, ამავდროულად, იგი არის ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარე და ინსტიტუციურად არ იქნება გამართლებული, რომ მანვე შეითავსოს ფონდის თავმჯდომარის პოზიცია.

გარდა ამისა, რადგან ასოციაციის წესდების მე-18 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტების თანახმად, თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციის ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, მიზანშეწონილი და რელევანტურია, რომ აღნიშნული ფონდის თავმჯდომარედ მოაზრებულ იქნას თავად ასოციაციის თავმჯდომარე, ხოლო გამგეობის დაკომპლექტება მოხდეს აღმასრულებელი საბჭოს, როგორც კოლეგიური, მმართველი ორგანოს შემადგენლობიდან.

მან მიმართა ფონდის მოქმედ წევრებს - გამოეთქვათ მოსაზრება გამგეობის წევრის უფლებასმოსილების გაგრძელების სურვილთან დაკავშირებით, ხოლო საბჭოს წევრებს - დაესახელებინათ ფონდის გამგეობის წევრობის მსურველთა კანდიდატები.

ფონდის გამგეობის მოქმედმა წევრმა ნათია კორკოტაძემ გამოთქვა სურვილი გამგეობის წევრად დარჩენის შესახებ, ხოლო ციცინო ცხვედიანმა უარი განაცხადა გამგეობის წევრის საქმიანობის გაგრძელებაზე.

შესაბამისად, სხდომაზე დასახელდნენ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის გამგეობის წევრობის მსურველი შემდეგი კანდიდატები: დავით ასათიანი (გამგეობის თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი და მარიამ კუბლაშვილი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- **ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარეს მამუკა ნოზაძესა და გამგეობის მოქმედ წევრებს შეუწყდეთ უფლებამოსილება;**
- **დამტკიცდეს ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: დავით ასათიანი (პ/ნ 60002015846), ნათია კორკოტაძე (პ/ნ 60001005110), ია გაბედავა (პ/ნ 01006011322), ინგა სეხნიაშვილი (პ/ნ 01009007765), მარიამ კუბლაშვილი (პ/ნ 08001006108);**
- **ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დავით ასათიანი (პ/ნ 60002015846).**

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ თათია თოხაძის და გიორგი ცობეხიას განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიულიადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად თათია თოხაძის და გიორგი ცობეხიას კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-7 მუხლში ცვლილების

შეტანის შესახებ, რომელიც ეხებოდა თეორიული კურსის ტრენერების შერჩევის წესს.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა განმარტა, რომ აღნიშნული მუხლის მოქმედი რედაქცია არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს დახვეწას, მასში მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შეტანის თვალსაზრისით და საკონკურსო მექანიზმის შემოტანის გზით.

წევრები გაეცნენ დებულების მოქმედ რედაქციას და ახალი ცვლილებების პაკეტს. მსჯელობის შემდეგ, **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-7 მუხლის ახალი რედაქცია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 5).**

საკითხი 11. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა/ლექტორთა შერჩევის მიზნით, საკონკურსო კომისიის შექმნა და კომისიის წევრების დამტკიცება.

თავმჯდომარემ მიმართა წევრებს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-7 მუხლში შეტანილი ცვლილებების თანხმად, ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა/ლექტორთა შერჩევის მიზნით, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის წევრობის მსურველი კანდიდატების დასახელების თაობაზე.

საკონკურსო კომისიის წევრობის სურვილი გამოთქვეს როინ მიგრიაულმა, ია გაბედავამ, მარიამ კუბლაშვილმა, რაისა ლიპარტელიანმა და თორნიკე ბაქრაძემ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერთა/ლექტორთა შერჩევის მიზნით, შეიქმნას საკონკურსო კომისია და დაკომპლექტდეს შემდეგი შემადგენლობით: როინ მიგრიაული, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი, რაისა ლიპარტელიანი და თორნიკე ბაქრაძე.

საკითხი 12. 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემების დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა სალომე ტყეშელაშვილმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დასრულდა 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების

ფარგლებში, პრიორიტეტული თემების განსაზღვრის მიზნით, ასოციაციის წევრებს შორის ადვოკატის პორტალის საშუალებით ჩატარებული გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 543 ასოციაციის წევრმა ადვოკატმა.

წევრები დეტალურად გაეცნენ გამოკითხვის შედეგებს და მსჯელობის შემდეგ, წარმოდგენილი შედეგების საფუძველზე განისაზღვრა 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემატიკა სფეროების მიხედვით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 6).

საკითხი 13. 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამას. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 7).

საკითხი 14. 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღებისა და სარეგისტრაციო პერიოდის განსაზღვრა.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა - სალომე ტყეშელაშვლმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, 2022 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის პერიოდად 2022 წლის 18 მარტიდან - 2022 წლის 19 აპრილის 17:00 საათის ჩათვლით, ხოლო გამოცდის ჩატარების თარიღებად 2022 წლის 23, 24, 27, 28, 29, 30 ივნისის და გასაჩივრების თარიღად 2022 წლის 01 ივლისის განსაზღვრის შესახებ.
წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- **დამტკიცდეს 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის თარიღებად 2022 წლის 18 მარტი 2022 წლის 19 აპრილის 17:00 საათის ჩათვლით.**
- **დამტკიცდეს 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღებად 2022 წლის 23, 24, 27, 28, 29, 30 ივნისი და გასაჩივრების თარიღად 2022 წლის 01 ივლისი.**

საკითხი 15. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 17 თებერვლის მიმართვის გაცნობა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 17 თებერვლის მიმართვას, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიამ 2021 წლის 16 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ირაკლი მახათაძის (სიითი N2818) მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 01 წლის ვადით ჩამორთმევის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატს არ გაუსაჩივრებია და 2022 წლის 17 თებერვლიდან ეთიკის კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ,,აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთოკრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს”.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 16 მარტს საქმეზე 008/17 მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატ ირაკლი მახათაძის (სიითი N2818) მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 01 (ერთი) წლის ვადით ჩამორთმევის საკითხზე **ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული და აღსრულდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2021 წლის 16 მარტს საქმეზე 008/17 მიღებული გადაწყვეტილება და ირაკლი მახათაძეს (სიითი N2818) შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება 01 (ერთი) წლის ვადით. აისახოს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.**

საკითხი 16. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) თორნიკე ცინარიძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების პერიოდის დასრულებამდე თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 4.3. პუნქტის თანახმად, ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, საბჭო ითვალსწინებს განმცხადებლის ფინანსურ მდგომარეობას და მიზანშეწონილად თვლის განცხადების დაკმაყოფილებას.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თორნიკე ცინარიძის განცხადება თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილების შესახებ, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების კურსის დასრულებამდე.

(ბ) ადვოკატ გელა ტყეშელაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი როგორც რეგიონში რეგისტრირებული ადვოკატი სარგებლობდა 50%-იანი საშეღავათო საწევროთი. 2021 წლიდან მას მიენიჭა შშმ პირის სტატუსი, რომლის საფუძველზეც ის ითხოვდა უკვე არსებულ 50%-იან საწევრო შეღავათზე 75% - იანი შეღავათის გავრცელებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გელა ტყეშელაშვილი სარგებლობდა 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროთი და მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენდა 100 (ასი) ლარს. ამავე საშეღავათო სისტემის თანახმად, 75%-იანი საწევრო ვრცელდება პირზე, რომელსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი (I და II ჯგუფი და ამავდროულად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ რეგიონებში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 29-ე მუხლის, 29.4 პუნქტის თანახმად, საწევრო შენატანი გადაიხდება 200 ლარის ოდენობით, ხოლო 29.5 პუნქტით დადგენილია, რომ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება ასოციაციის იმ წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებზეც უნდა გავრცელდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი საშეღავათო საწევროს გადახდის ვალდებულება.

შესაბამისად, გელა ტყეშლაშვილის განცხადებაში მითითებული საშეღავათო საწევროს გავრცელების ფორმულირება არ არის სწორი, რადგან 50% -იანი და 75 %-იანი საშეღავათო საწევრო ვრცელდება საწევრო შენატანის წესდებით დადგენილ ოდებობაზე, რომლის თანახმად, გელა ტყეშელაშვილზე როგორც წევრზე, რომელიც რეგიონში ახორციელებს საქმიანობას და ამავდროულად აქვს შშმ პირის სტატუსი, ვრცელდება 75%-იანი საშეღავათო საწევრო და მისთვის წლიური საწევროს ოდენობა განსაზღვრულია 50 (ორმოცდაათი) ლარით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, გელა ტყეშელაშვილზე გავრცელდეს 75%-იანი შეღავათი და საწევრო განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.

(გ) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 22 დეკემბერის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად დასრულდა ადვოკატთა ასოციაციის მიერ პერსონალური მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმური შემოწმება და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის შეფარდების თაობაზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ასევე, ასოციაციას დაევალა ზემოთაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული ასოციაციის ვებ-გვერდის ბმულებზე განთავსებული ინფორმაციის წაშლა.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ გადაწყვეტილებას. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2021 წლის 22 დეკემბერის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ასოციაციის აპარატის შესაბამის სამსახურს.**

(დ) ადვოკატ ჯემალ ნათელაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მან 2013 წელს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიარა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალური კურსი“. თანდართული სერტიფიკატის საფუძველზე, იგი ითხოვდა აღნიშნული კურსის ჩათვლას ადვოკატის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამატებითი სპეციალიზაციის კურსში.

წევრებმა განაცხადეს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული კურსის გავლის დოკუმენტი.

შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაცია გარკვეული პერიოდულობით ატარებს სპეციალიზირებული ტრენინგების ციკლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე წევრებისთვის, რათა მათ მიენიჭოთ უფლება სრულყოფილი იურიდიული დახმარება გაუწიონ არასრუწლოვანს.

აქედან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს ჯემალ ნათელაშვილის განცხადება 2013 წელს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გავლილი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალური კურსის“ ადვოკატის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამატებითი სპეციალიზაციის კურსში ჩათვლის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ჯემალ ნათელაშვილის განცხადება. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(ე) მარიამ ჭიკაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების პერიოდის დასრულებამდე თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 4.3. პუნქტის თანახმად, ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განმცხადებლის ფინანსურ მდგომარეობას და მიზანშეწონილად თვლის განცხადების დაკმაყოფილებას.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ჭიკაძის განცხადება თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილების შესახებ, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების კურსის დასრულებამდე.

(ვ) ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის წევრის - ნუგზარ კვარაცხელიას (სიითი#0322) გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (წარმოდგენილი იყო გარდაცვალების მოწმობის ასლი). მათ განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21[3] მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ასოციაციის წევრის გარდაცვალების ფაქტს და შეაქვს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნას მიღებული ნუგზარ კვარაცხელიას (სიითი#0322) გარდაცვალების ფაქტი და იგი ამოღებულ იქნას ასოციაციის წევრთა ერთიანი სიიდან.

(ზ) ადვოკატ ნანა სიჭინავას განცხადების განხილვა.

აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და გადაიდო შემდგომი სხდომისთვის.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე